

ფული, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის საფუძვლები
I სემესტრი. 2019-2020 წელი
(შუალედური გამოცდის ნიმუში)

Question 1

1913 წლიდან დოლარის წარმოებაზე, გავრცელებასა და აღრიცხვაზე პასუხისმგებელია

Select one:

- a. აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა
- b. აშშ-ს ფინანსთა სამინისტრო
- c. აშშ-ს მთავრობა
- d. აშშ-ს კონგრესი

Question 2

ევრო ნაღდ მიმოქცევაში შემოღებულ იქნა

Select one:

- a. 2002 წლის 1 იანვარს
- b. 1999 წლის 1 იანვარს
- c. 2000 წლის 1 იანვარს
- d. 2008 წლის 1 იანვარს

Question 3

ქალაქის ფულის ასევე უწოდებენ

Select one:

- a. სასაქონლო ფულს
- b. ნომინალურ ფულს
- c. დეკრეტულ ფულს
- d. ბინოლურ ფულს

Question 4

ფულადი მიმოქცევის აუცილებელ ატრიბუტს ხურდა ფული ან წვრილი მონეტა წარმოადგენს, რომელიც ცნობილია

Select one:

- a. დეკრეტული ფულის სახელით
- b. ბინოლური მონეტის სახელით
- c. კრიპტო მონეტის სახელით
- d. ელექტრონული ფულის სახელით

Question 5

ნაღდი-ფულადი ბრუნვის ორგანიზება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ

Select one:

- a. ფინანსთა სამინისტროს სახით
- b. ცენტრალური ბანკის სახით
- c. კომერციული ბანკების სახით
- d. ყველა პასუხი მცდარია

Question 6

საქონლისა და მომსახურების ღირებულების გადახდა ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე ბანკის მეშვეობით მყიდველის ანგარიშიდან მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, არის

Select one:

- a. ნაღდი ანგარიშსწორება
- b. უნაღდო მიმოქცევა
- c. უნაღდო ანგარიშსწორება
- d. ნაღდი მიმოქცევა

Question 7

კანონმდებლობით დაწესებული ფასის ნიშანი, რომელიც გამოიყენება ყველა საქონლის ღირებულების საზომად და მათი ფასების გამოსახატავად, არის

Select one:

- a. საანგარიშსწორებო ერთეული
- b. ფულის სახეები
- c. ფულის ერთეული
- d. საგადასახდელო ერთეული

Question 8

ისეთ ფულად სისტემას, როცა საყოველთაო ეკვივალენტის როლში ორი ლითონი (ძირითადად ოქრო და ვერცხლი) გამოდის ეწოდება

Select one:

- a. ტრიმეტალიზმი
- b. მონომეტალიზმის
- c. მონეტარიზმი
- d. ბიმეტალიზმის

Question 9

მწარმოებელთა მიერ წარმოებული პროდუქციის ფასების საშუალო დონის მაჩვენებელი საბაზო პერიოდთან შედარებითარის, არის

Select one:

- a. ინფლაციის დონე
- b. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების დინამიკა

- c. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი
- d. სამომხმარებლო ფასების ინდექსი

Question 10

საერთაშორისო პრაქტიკაში, ფასების ზრდის სიდიდეზე დამოკიდებულებაში, მიღებულია ინფლაციის დაყოფა სამ სახეობად:

Select one:

- a. რეგიონალური, ჭენებადი, იმპორტირებადი
- b. მცოცავი, ჭენებადი, ჰიპერინფლაცია
- c. მცოცავი, ზომიერი, ჰიპერინფლაცია
- d. ზომიერი, დეფლაციური, იმპორტირებადი

Question 11

კრედიტი, რომელსაც ბანკი აძლევს თავის კლიენტებს ფულადი ფორმით. კლიენტის როლში გამოდიან სამეურნეო და ფინანსური სტრუქტურები (იურიდიული პირები) და მოქალაქეები (ფიზიკური პირები), არის

Select one:

- a. საბანკო კრედიტი
- b. იპოთეკური კრედიტი
- c. კომერციული კრედიტი
- d. სინდიცირებული კრედიტი

Question 12

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი კრედიტი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია უძრავი ქონების შეძენა, არის

Select one:

- a. სინდიცირებული კრედიტი
- b. სამომხმარებლო კრედიტი
- c. იპოთეკური კრედიტი
- d. კომერციული კრედიტი